ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 353

7 დეკემბერი
"___" _____ 2018 წ

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, ფოსტის შესახვევი №11-ში მდებარე 325 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.17.01.101.008) და ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის III მ/რ, კორპ. №8-ის მიმდებარედ არსებული 934 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.08.006.627) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტისა და მე-5 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ფოსტის შესახვევი №11-ში მდებარე 325 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01.17.01.101.008) და ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის III მიკრორაიონის კორპუსი #8-ის მიმდებარედ არსებული 934 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01.10.08.006.627) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 2 ნოემბრის №18.892.1291 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ფოსტის შესახვევი №11-ში მდებარე 325 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.17.01.101.008) და ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის III მ/რ, კორპ. №8-ის მიმდებარედ არსებული 934 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.08.006.627) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, ე.ს ამხანაგობა „დიდუბის III შესახვევი №27"-ის (ს/კ: 205356960) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ალექსი გოგოლაურის ქ. №5-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: №01.13.05.008.013) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში უფლებრივად უნაკლო მდგომარეობით გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე